სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 მარტი, 2026 წელი

ბრძანება №01-10/34

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“, „ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 04 მარტის №01-10/14 ბრძანების, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 20 მარტის №340837 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 04 მარტის №01-10/14 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლევან ტარიელაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) რევაზ ოკუჯავა - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის მდივანი;

გ) ზაზა ბერიძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

დ) გოგა ბაუჟაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

ე) გიორგი დიასამიძე - იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ვ) ზვიად ბერაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) დალი კახიძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

2. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეთა ინფორმირება გასაუბრების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით.

3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურსა (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**